

მონაკვეთი 1: კმ 0.000 – კმ 24.620 (დასკვნითი)
მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის
საინფორმაციო ბროშურა

ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის
ადგილობრივი გზის მონაკვეთის (50 კმ)
რეაბილიტაციის დეტალური პროექტის, სატენდერო
დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა
და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის
მომზადება

ოქტომბერი 2017

მომზადებულია:
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის
სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ

ა. შესავალი და პროექტის აღწერილობა

1. აზის განვითარების ბანკმა (აგბ) ხელი მოაწერა სესხის ხელშეკრულებას საქართველოსთან 2017 წლის ივნისში ძირულა-ხარაგაული-მოლითი-ფონა-ჩუმათელეთის ადგილობრივი გზის მონაკვეთის (50 კმ) რეაბილიტაციის დაფინანსების მიზნით. საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო წარმოადგენს პროექტის შემსრულებელს საქართველოს მთავრობის სახელით, ხოლო საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი წარმოადგენს განმხორციელებელ სააგენტოს. განხორციელების მიზნით პროექტი დაიყო ორ, 25 კმ სიგრძის მონაკვეთად. იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება ორი დამოუკიდებელი კონტრაქტი, თითოეული კონტრაქტის/მონაკვეთის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა პროექტის დეტალური დიზაინის ეტაპზე ცალ-ცალკე მზადდება. საავტომობილო გზის პირველი მონაკვეთი (მონაკვეთი 1) გადის დასავლეთ რეგიონში და წარმოადგენს 24,64 კმ სიგრძის მონაკვეთს ძირულადან მოლითამდე, ხოლო მეორე მონაკვეთი (მონაკვეთი 2) გადის აღმოსავლეთ რეგიონში და წარმოადგენს 26,4 კმ სიგრძის მონაკვეთს მოლითადან ჩუმათელეთამდე.
2. წინამდებარე ბრომურა მომზადდა მიწის შესყიდვისა და განსახლების ფინალური გეგმის, როგორც ძირულადან მოლითამდე გზის მონაკვეთი 1-ის (24,6 კმ) დეტალური პროექტის, განხორციელებისთვის მზა ვარიანტის საფუძველზე. პროექტი კლასიფიცირებულია B კატეგორიად არანებაყოფლობითი განსახლების თვალსაზრისით¹ თანახმად ADB's SPS 2009 დებულებებისა. პროექტი ზემოქმედებას არ ახდენს ინდიგო მოსახლეობაზე, როგორც ეს განმარტებულია ADB's SPS 2009 მიხედვით და ამ თვალსაზრისით კლასიფიცირებულია C კატეგორიად. საავტომობილო გზა დაპროექტდა მოწინავე საინჟინრო გადაწყვეტის გათვალისწინებით. დეტალური აზომვითი სამუშაოები და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების 100% აღწერა შესრულდა დეტალური და საბოლოო საინჟინრო პროექტისა და საბოლოო გასხვისების დერეფნის საფუძველზე. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა ეფუძნება საქართველოს კანონებსა და რეგულაციებს მიწის შესყიდვისა და არანებაყოფლობითი განსახლების შესახებ და ADB's SPS 2009 დებულებებს. 1-ლი მონაკვეთის მოკვეთის თარიღად ითვლება დეტალური აზომვითი სამუშაოებისა და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირების აღწერის დაწყების თარიღი - 2017 წლის 26 ივნისი
3. საპროექტო გზის უდიდესი ნაწილი მოქცეულია იმერეთის რეგიონში, ხოლო მისი აღმოსავლეთი ბოლოს რამდენიმეკილომეტრიანი მონაკვეთი გადის შიდა ქართლის ტერიტორიაზე. იგი იწყება E60 მაგისტრალის განშტოებასთან ძირულას ტერიტორიულ ორგანოში (ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) და კვლავ უერთდება E60-ს აღმოსავლეთ ბოლოში სოფ. ჩუმათელეთში, რომელიც ეკუთვნის სურამის ტერიტორიულ ორგანოს (ხაშურის მუნიციპალიტეტი).

¹ პროექტი კლასიფიცირდება B კატეგორიად, თუ იგი გულისხმობს არანებაყოფლობით განსახლებას, რომელიც არ არის მასშტაბური, რაც ნიშავს იმას, რომ მნიშვნელოვანი ზემოქმედების ქვეშ მდევრა 200 ან ნაკლები ადამიანი, რომლებიც განსაზღვრული არიან, როგორც (i) ფიზიკურად ფიზიკურად ადგილონაცვლე საცხოვრებელი ადგილიდან ან (ii) პირები, რომლებიც კარგავენ პროდუქტიული (შემოსავლისმომგანი) აქტივების 10%-ს ან მეტს.

საპროექტო გზის მდებარეობის ტუკი



ბ. ზემოქმედება მიწის შესყიდვასა და განსახლებაზე

4. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული (პზქ) მიწის ნაკვეთების საერთო რაოდენობა 1-ლ მონაკვეთზე არის 84, რომელთაგან 40 რეგისტრირებულია/დაკანონებულია, 14 – დაკანონებადია, 30 კი – არადაკანონებადია. პროექტისთვის საჭირო მიწის საერთო ფართობი შეადგენს 11,711 კვ.მ-ს, რომელიც ტოლია 1,17 ჰა-ის, საიდანაც 6,310 კვ.მ კანონიერი და დაკანონებადი მესაკუთრეების კერძო საკუთრებაშია და 5401 კვ.მ. მიწა, რომელიც არადაკანონებადი მოსარგებლების სარგებლობაშია. სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საერთო რაოდენობაა 79, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთების საერთო რაოდენობაა 5. არასასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები წარმოდგენილია 3 საკარმიდამო ნაკვეთითა და 2 ერთეული კომერციული დანიშნულების ნაკვეთით. მიწის შესყიდვის შედეგად ზემოქმედების ქვეშ ყვება ჯამში, 707 ხე. მოსავლის დანაკარგის საერთო ფართობი შეადგენს 820 კვ.მ-ს. ზემოქმედების ქვეშ ექცევა 108 შენობა-ნაგებობება, რომელთაგან 4 საცხოვრებელი შენობაა, მაგ., სახლი/საცხოვრებელი, 2 კომერციული შენობა (მაღაზია და რესტორანი), დანარჩენს წარმოადგენენ სხვა ისეთი მცირე ზომის ნაგებობები, როგორიცაა ღობე, ავტოსადგომი, საწყობი, საქონლის სადგომი (ბოსელი), საპირფარეშო და სხვ. 6 შენობა საჭიროებს ფიზიკურად გადაადგილებას. პზქმ ოჯახების საერთო რაოდენობაა 65, რაც შეადგენს 231 პზქმ პირს, რომელთაგან 113 მამაკაცია და 118 – ქალი. მწვავე ზემოქმედების ქვეშ ექცევა ჯამში 10 ოჯახი, რომელთა წევრების რაოდენობაა 21. მოწყვლადი ოჯახების საერთო რიცხვია 35 წევრების საერთო რაოდენობით 75. მიწის შესყიდვისა და განსახლების ზემოქმედების კრებსი მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

მიწის შესყიდვისა და განსახლების საერთო ზემოქმედება

№	ზემოქმედება	განზომილების ერთეული	რაოდენობა
1	შესასყიდი მიწის საერთო ფართობი	კვ.მ.	11711
2	კერძო საკუთრებაში არსებული მიწა (რეგისტრირებული და დაკანონებადი)	კვ.მ.	6310
3	არადაკანონებადი/არაფორმალური მაცხოვრებლების სარგებლობაში არსებული სახელმწიფო მიწა	კვ.მ.	5401
4	მიწის ნაკვეთები	ტ.	84
5	რეგისტრირებული ნაკვეთები	ტ.	40
6	კანონიერი/დაკანონებადი ნაკვეთი	ტ.	14
7	არადაკანონებადი/უპატრონო ნაკვეთი (შექრილი ან არაკანონიერი მოსარგებლები)	ტ.	30 (16 შექრილი, 14 არაკანონიერი)
8	სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	ტ.	79
9	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი	ტ.	5
10	სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი (რეგისტრირებული და დაკანონებადი)	კვ.მ.	5435
11	სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი (არადაკანონებადი)	კვ.მ.	5401
12	არასასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი	კვ.მ.	875
13	სასოფლო-სამეურნეო კულტურებით დაკავებული ფართობი	კვ.მ.	820

Nº	ზემოქმედება	განზომილების კრთხული	რაოდენობა
14	ხეების საერთო რაოდენობა	ც.	707
15	შენობა-ნაგებობების საერთო რაოდენობა დამხმარე ნაგებობების ჩათვლით	ც.	108
16	საცხოვრებელი სახლები	ც.	4
17	კომერციული შენობები/მაღაზიები	ც.	2
18	დამხმარე ნაგებობები	ც.	102
19	ნაგებობები, რომლებიც საჭიროებს გადატანას	ც.	6
20	მწვავე ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები და ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები	ც.	10 პზებ ოჯახი და 21 პზებ პირი
21	მოწყვლადი ოჯახები	ც.	35
22	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ოჯახები	ც.	65
23	ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები	ც.	231
24	ზემოქმედების ქვეშ მყოფი მამაკაცები	ც.	113
25	ზემოქმედების ქვეშ მყოფი ქალები	ც.	118

დ. კონსულტაციები და ინფორმაციის გასაჯაროება

5. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპიდან მოყოლებული პროექტის მხარეებთან უწყვეტად ტარდებოდა კონსულტაციები. ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ეტაპზე ჩატარდა 9 კონსულტაცია/საჯარო შეხვედრა (2-10 დეკემბერი 2014): ხარაგაულში (45 მონაწილე), საღანძილე (17 მონაწილე), ანეულა (5 მონაწილე), ჩუმათელეთი (18 მონაწილე), მირულა (14 მონაწილე), მოლითი (23 მონაწილე), წიფა(3 მონაწილე), ლაშე(8 მონაწილე), ფონა (3 მონაწილე). კონსულტაციები/საჯარო შეხვედრები გაგრძელდა დეტალური პროექტირების ეტაპზეც 2017 წლის ივლისსა და აგვისტოში: ხარაგაულში (8 მონაწილე), საღანძილე (20 მონაწილე), ლაშე (8 მონაწილე), ზესტაფონის გამგეობა (27 მონაწილე), ხარაგაულის გამგეობა (14 მონაწილე). კონსულტაციებით უზრუნველყოფილ იქნა რომ პზებ და დაინტერესებულმა პირებმა მიიღეს სათანადო ინფორმაცია, კონსულტირებულნი და აქტიური თანამშრომლობისთვის ორიენტირებულნი იქნენ გზების რეაბილიტაციისა და განსახლების გეგმის დახვეწის პროცესში. შეხვედრებში მონაწილეობდნენ როგორც მამაკაცები, ისე ქალები. კონსულტაციები გაგრძელდება პროექტის მთელი ციკლის მანძილზე. მიწის შესყიდვისა და განსახლების საბოლოო გეგმა გადაითარგმნება ქართული ენაზე და ხელმისაწვდომი იქნება საავტომობოლი გზების დაპარტამენტში, რაიონულ ოფისსა და პზებ სოფლების დონეზე დამტკიცებისთანავე. მიწის შესყიდვისა და განსახლების საბოლოო გეგმა გამოქვეყნდება აგბ-ს ვებ-გვერდზე და საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობოლი გზების დაპარტამენტის ვებ-გვერდზე დამტკიცების თანავე.

ე. საჩივრების განხილვის მექანიზმი

6. საჩივრების განხილვის მექანიზმი შემუშავდა როგორც რაიონულ დონეზე (ხარაგაული, ზესტაფონი), ასევე საავტომობოლო გზების დეპარტამენტის დონეზე იმ მიზნით, რომ ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებს მიეცეთ საშუალება, გაასაჩივრონ ისეთი გადაწყვეტილება ან ქმედება მიწის და სხვა ობიექტების კომპენსაციასთან

დაკავშირებით, რომელსაც არ ეთანხმებიან. პზქმ პირებს მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია საგუთარი უფლებებისა და საჩივრების გადაწყვეტის პროცედურების შესახებ კონსულტაციებისა და კვლევისა ეტაპებზე. საჩივრების განხილვის რაიონული კომიტეტის (სგრვ) შემადგენლობაში შედიან:

საქართველოს რეგონული განვითარებისა და : მომწვევი
ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო
გზების დეპარტამენტის განსახლების
პროცედურებთან დაკავშირებით წარმოშობილი
პრობლემური საკითხების შემსწავლელი კომისიის
წარმომადგენელი

საავტომობილო გზების დეპარტამენტის : წევრი
განსახლების სამსახურის წარმომადგენელი
რაიონის წარმომადგენელი (ხარაგაული)

რაიონის წარმომადგენელი (ზესტაფრონი) : წევრი

სოფლის წარმომადგენელი : წევრი

პზქმ პირების წარმომადგენელი : წევრი

პზქმ ქალების წარმომადგენელი : წევრი

7. საჩივრები გადაიჭრება ქვემოთ აღწერილი პროცედურით (საჩივრების წარდგენის ფორმა, მოცემულია წინამდებარე ბროშურის დანართში).

საჩივრების დაკამაყოფილების პროცესი

საფეხურები	პროცესი
საფეხური 1	საჩივრების გადაჭრა პირველ ეტაპზე მოხდება სოფლის დონეზე სოფლის ორგანოების მონაწილეობით და მიწის შესყიდვისა და განსახლების რაიონული წარმომადგენლის მონაწილეობით. თუ პზქმ პირი უკამაყოფილობა გადაწყვეტილებით, მომდევნო საფეხური ითვალისწინებს საჩივრის წარდგენას საჩივრებისა განხილვისა და დაკამაყოფილების კომიტეტში.
საფეხური 2	<p><input type="checkbox"/> თუ საჩივრის დაკამაყოფილება არ მოხერხდა წინა დონეზე, მიწის შესყიდვისა და განსახლების რაიონული წარმომადგენელი დახმარებას გაუწევს უკამაყოფილო პზქმ პირებს პრეტენზიების სგდესადმი ოფიციალურად წარდგენაში. უკამაყოფილო პზქმ პირმა საჩივარი უნდა წარადგინოს 2 კვირის ვადაში მას შემდეგ, რაც სოფლის დონეზე მოლაპარაკებით ვერ მოხერხდება საჩივრის გადაჭრა და უნდა წარმოადგინოს დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებს მის პრეტენზიას.</p> <p><input type="checkbox"/> სგდეს მდივანი შეისწავლის საჩივრებს და მოამზადებს შესაბამის დოკუმენტს სგრვ-თვის წარსადგენად. საქმის ოფიციალური მოსმენა სგრვ-ს მიერ დაინიშნება სგრვ-ს მდივნის მიერ მითითებულ დღეს კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ კომისიის წევრთან და მომჩივარ პზქმ პირთან შეთანხმებით.</p> <p><input type="checkbox"/> მოსმენის დღეს მომჩივარი პზქმ პირი გამოცხადდება სგრვ-ს ოფისში და წარუდგენს სგრვ-ს მატგიცებელ მასალას, რომელიც ამყარებს მის პრეტენზიას. წევრი მდივანი ჩაიწერს მოსმენაზე გამოთქმულ განცხადებებს საჩივრის შესახებ და ჩაინიშნავს უკელა მამტკიცებელ ფაქტს დოკუმენტურად.</p> <p><input type="checkbox"/> სგრვ-ს წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. მიღებული გადაწყვეტილება გადაეცემა კრების მოწვევაზე პასუხისმგებელ პირს და მასზე ხელს აწერენ სგრვ-ს წევრები. მოხდება მომჩივან პზქმ პირთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების განახლება და შესყიდვისა და განსახლების გუნდის მიერ მომჩივან პზქმ პირსთვის მათი მიწოდება.</p>

	<input type="checkbox"/> ამ საფეხურზე საჩივრის განხილვის პროცესი უნდა დასრულდეს 4 კვირაში
საფეხური 3	თუ პზქმ პირი უკმაყოფილოა საჩივრების განხილვისა და დაქმაყოფილების კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, შემდეგი საფეხური ითვალისწინებს საჩივრის წარდგენას რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტის განსახლების განყოფილებაში სგრკ-ს გადაწყვეტილების მიღებიდან 2 კვირის ვადაში. პზქმ პირი ვალდებულია, საჩივრს თან დაურთოს ის დოკუმენტაცია, რომელიც ასაბუთებს მის პრეტენზიას. განსახლების განყოფილება განიხილავს სგრკ-ს მასალებს და აცნობებს პზქმ პირს თავის გადაწყვეტილებას 4 კვირის ვადაში.
შენიშვნები:	1. სავალდებულო არაა, რომ საჩივრის საგანი განეკუთვნებოდეს კომპენსაციებისა და დახმარებების სფეროს და შესაძლებელია რომ სცილდებოდეს კომპენსაციების საკითხებს; 2. პზქმ პირებს შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს ნებისმიერ დროს, საჩივრების განხილვის პროცესისგან დამოუკიდებლად.

გ. სამართლებრივი ჩარჩო, უფლებამოსილება კომპენსაციაზე და უფლებამოსილების მატრიცა

8. პროექტის სამართლებრივი და პოლიტიკის ჩარჩო ეფუძნება მიწის შესყიდვისა და განსახლების საქართველოში მოქმედ ეროვნულ კანონებსა და ADB's SPS 2009 დოკუმენტს. მოქმედი კანონებისა და აგბ პოლიტიკის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე მიღებული იქნა პროექტის ფარგლებში მიწის შესყიდვისა და განსახლების პრინციპები. პროექტის განხორციელების ზემოქმედების ქვეშ მყოფი პირები, რომლებიც უფლებამოსილი არიან, მიიღონ კომპენსაცია, ან როგორც მინიმუმ სარეაბილიტაციო დახმარება, არიან შემდეგი: (i) ზემოქმედების ქვეშ მყოფი ყველა პირი, რომელიც კარგავს მიწას (რეგისტრირებული/ მიწაზე ტრადიციული უფლებებით, დაკანონებადი ან კანონიერი სტატუსის გარეშე); (ii) მოიჯარები ან მოსავლის თანაფლობელები მიუხედავად იმისა, აქვთ თუ არა დარეგისტრირებული საკუთრების უფლება; (iii) შენობების, მოსავლის, მრავალწლიანი ნარგავების ან სხვა ობიექტების (რომელიც მდებარეობს მიწაზე) მფლობელები და (iv) დაზარალებული ადამიანები, რომლებიც კარგავენ ბიზნესს, შემოსავალს და ხელფასებს. უფლებამოსილების დებულება იმ ადამიანებისთვის, რომლებიც კარგავენ მიწას, სახლსა და შემოსავალს და სარეაბილიტაციო დახმარება ითვალისწინებს მიწის მუდმივი ან დროებითი დაკარგვის, შენობის დაკარგვის, სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ხეხილის დაკარგვის დებულებებს, ადგილმონაცვლეობის ფულად დახმარებას და ფულად დახმარებას ბიზნესის დაკარგვის გამო. ზემოქმედების ქვეშ მყოფი აქტივების შეფასება მოხდა აღდგენითი ღირებულების ძირითადი პრინციპის გამოყენებით. უფლებამოსილების მატრიცა მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

უფლებამოსილებათა მატრიცა

დანაკარგის სახე	წინაპირობა	პზქმ პირის სტატუსი	კომპენსაციის გაწევის პირობები
მიწა			
სასოფლო-სამეურნეო მიწის სამუდამოდ დაკარგვა	პზქმ პირის მიერ მოსავლიანი სასოფლო-სამეურნეო მიწის დაკარგვა, მიუხედავად ზემოქმედების ხარისხისა	კანონიერი მფლობელები: კანონიერი რეგისტრაციის მქონე მესაკუთრე	ფულადი კომპენსაცია სრული აღდგენითი ღირებულებით. თუ დარჩენილი მიწის ფართობი უფარგისი დასამუშავებლად,

დანაკარგის სახე	წინაპირობა	პზქმ პირის სტატუსი	კომპენსაციის გაწვევის პირობები
			მოხდება მისი შესყიდვა პროექტის ფარგლებში, თუ ეს სურს მიწის მესაკუთრესაც.
		მიწის უფლებამოსილი / დაკანონებადი მესაკუთრე: (პზქმ პირები, რომლებიც ელოდებიან უფლების დაკანონებას და პზქმ პირები, რომლებიც არ არიან რეგისტრირებული, მაგრამ კანონიერად სარგებლობენ მიწით და აქვთ სამოსახლო მიწა ან სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები სამოსახლო მიწის მიმდებარედ).	ამ კატეგორიის პზქმ პირების მესაკუთრეობა აღიარებული იქნება, მათი მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული იქნება საჯარო რეგისტრში და პზქმ პირებზე გაიცემა ნაღდი ფულით კომპენსაცია სრული აღდგენითი დირებულებით.
		არადაკანონებადი / არაუფლებამოსილი / თვითნებურად დაკავებული / არაოფიციალური მოსარგებლება: პზქმ პირები, რომლებიც არ არიან მიწის კანონიერი მფლობელები ან თვითნებურად აქვთ მიწა დაკავებული(შეჭრილები) ²	ერთჯერადი დახმარება 12 თვის მანძილზე საარსებო მინიმუმის ოდენობის ნაღდი ფულით 12თვე(@347.4ლარი/თვე= 4169 ლარი/ პზქმ ოჯახი
		სასოფლო-სამეურნეო მიწის მოიჯარე/დამქირავებელი	ერთჯერადი დახმარება 12 თვის მანძილზე საარსებო მინიმუმის ოდენობის ნაღდი ფულით 12თვე(@347.4ლარი/თვე= 4169 ლარი/ პზქმ ოჯახი
არასასოფლო-სამეურნეო მიწა	პზქმ პირის მიერ კომერციული/ საცხოვრებელი მიწის დაკარგვა	კანონიერი მესაკუთრე: (კანონიერი რეგისტრაციის მქონე მესაკუთრე) უფლებამოსილი / დაკანონებადი მიწის მესაკუთრე: (მესაკუთრეები, რომელთა უფლებაც დაკანონებადია მოქმედი კანონმდებლობის თანახმად)	ფულადი კომპენსაცია სრული აღდგენითი დირებულებით ამ კატეგორიის დაზარალებული პირების მესაკუთრეობა აღიარებული იქნება, მათი მიწის ნაკვეთები რეგისტრირებული იქნება საჯარო რეგისტრში და პზქმ პირებზე გაიცემა ნაღდი ფულით კომპენსაცია სრული აღდგენითი დირებულებით.
		არადაკანონებადი / არაუფლებამოსილი / თვითნებურად დაკავებული / არაოფიციალური მოსარგებლება: პზქმ პირები, რომლებიც კანონიერი მფლობელობის	ერთჯერადი დახმარება 12 თვის მანძილზე საარსებო მინიმუმის ოდენობის ნაღდი ფულით 12თვე(@347.4ლარი/თვე= 4169 ლარი/ პზქმ ოჯახი

² შეჭრილი პირისთვის (პირი რომელიც რეგისტრირებული ნაკვეთის მფლობელობას აფართოებს არაკანონიერად მიწის სარგებლობით გზის კორიდორში)კომპენსირებული იქნება მთოლოდ მიწისგან განსხვავებული აქტივები და მას არ მიეცემა ერთჯერადი დახმარება 12 თვის საარსებო მინიმუმის მოცულობით

დანაკარგის სახე	წინაპირობა	პზქმ პირის სტატუსი	კომპენსაციის გაწევის პირობები
		გარეშე მუდმივად იყენებენ მიწის ნაკვეთს ³	
შენობა-ნაგებობები			
საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ნაგებობები/აქტივები		ყველა პზქმ ოჯახი, მიუხედავად მფლობელობის/ რეგისტრაციის მდგომარეობისა (მათ შორის, ლეგალიზებადი და არაოფიციალური მაცხოვრებლებიც)	ფულადი კომპენსაცია დაპარგული შენობა ნაგებობისათვის სრული ადგენითი დირექტულებით, რომელშიც არ იქნება გათვალისწინებული ცვეთა და ტრანზაქციის ხარჯები.
საჯარო ინფრასტრუქტურის / საჯარო საგუთრების რესურსების დაკარგვა			
საჯარო საკუთრების, რესურსის დაკარგვა	საჯარო / საზოგადოებრივი აქტივი	საზოგადოება/სახელმწიფო	თემთან კომუნიკაციის საფუძველზე დაპარგული შენობის რეკონსტრუქცია და მისი ფუნქციების აღდაგენა.
შემოსავლისა და საარსებო წყაროს დაკარგვა			
მოსაგალი	დაზარალდა დათესილი მოსავალი ან დაზიანდა სასოფლო- სამეურნეო მიწა, რომელზეც მუდმივად მოჰყავდათ მოსავალი.	ყველა პზქმ ოჯახი, მიუხედავად მფლობელობის/ რეგისტრაციის მდგომარეობისა (მათ შორის, ლეგალიზებადი და არაოფიციალური მაცხოვრებლებიც)	საბაზრო დირექტულების გათვალისწინებით შემოსავლის ფულადი კომპენსაცია მოსალოდნელი მოსავალის მოლიანი დირექტულების საფუძველზე
ხეები	დაზარალებული ხეები	ყველა პზქმ ოჯახი, მიუხედავად მფლობელობის/ რეგისტრაციის მდგომარეობისა (მათ შორის, ლეგალიზებადი და არაოფიციალური მაცხოვრებლებიც)	ფულადი კომპენსაცია საბაზრო ფასის გათვალისწინებით ხის ჯიშის, ასაკისა და ნაყოფიერების გათვალისწინებით.
ბიზნესი/სამსახური	ბიზნესის / სამსახურის დაკარგვა	ყველა პზქმ ოჯახი, მიუხედავად მფლობელობის/ რეგისტრაციის მდგომარეობისა (მათ შორის, ლეგალიზებადი და არაოფიციალური მაცხოვრებლებიც)	მესაკუთრე (I). <u>მუდმივი</u> <u>ზემოქმედება</u> ფულადი კომპენსაცია 1 წლის სუვთა შემოსავლის ოდენობით, ან თუ მესაკუთრე ვერ წარმოადგენს შემოსავლის ამსახველ საბუთს, მას მიეცმა ერთჯერადად დაბმარება საარსებო მინიჭების ოდენობის ნალი ფულით (12თვე(@347.4ლარი/თვე= 4169 ლარი/ პზქმ ოჯახი) (II) <u>(დროებითი ზემოქმედება)</u> ფულადი კომპენსაცია იმ თვეების სუვთა შემოსავლის ოდენობით, რამდენი თვეც

³ შექრილი პირისთვის (პირი რომელიც რეგისტრირებული ნაკვეთის მფლობელობას აფართოებს არაკანონიერად
მიწის სარგებლობით გზის კორიდორში) კომპენსირებული იქნება მხოლოდ მიწისგან განსხვავებული აქტივები და
მას არ მიეცემა ერთჯერადი დახმარება 12 თვის საარსებო მინიმუმის მოცულობით

დანაკარგის სახე	წინაპირობა	პზქმ პირის სტატუსი	კომპენსაციის გაწევის პირობები
			<p>შეწყვეტილი იყო ბიუნესი. შეფასება გაკეთდება საგადასახალო დეპარაციის საფუძვლზე, ხოლო მისი არ ქონის შემთხვევაში, მინიმალურ ხელფასზე დაჭრდნობით.</p> <p>(III) მუდმივი მომუშავები/</p> <p><u>თანამშრომლები:</u> კომპენსაცია დაკარგული ხელფასის სანაცვლოდ, რომელიც გაიცემა ერთჯერადად დახმარების სახით საარსებო მინიმუმის ოდენობის ნადღი ფულით</p> <p>(3თვე(@347.4ლარი/თვე= 1042 ლარი/ პზქმ ოჯახი)</p>
ფულადი დახმარება			
მწვავე ზემოქმედება ⁴	>10% შემოსავლის დაკარგება	ყველა სერიოზულად დაზარალებული პირი, არაოფიციალურად მაცხოვებლების ჩათვლით	ერთჯერადად დახმარება საარსებო მინიმუმის 3 თვის ოდენობის ნადღი ფულით (3თვე(@347.4ლარი/თვე=1042 ლარი/ პზქმ ოჯახი)
გადაადგილება/გადაზიდვა	ტრანსპორტი/ტრანსპორტირების ხარჯები	ყველა დაზარალებული პირი, რომელიც შეკემდებარება ადგილმონაცვლეობას	ფულადი დახმარება, რომელიც საქმარისია ტრანსპორტირებისა და საცხოვრებელი ხარჯების დასაფარად (250ლარი ტრანსპორტი+ 3თვე(@347.4ლარი/თვე= 1292 ლარი/ პზქმ ოჯახი)
მოწყვლადი ადამიანებისთვის განკუთვნილი დახმარება ⁵		სიდარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები და ოჯახები, რომელთა უფროსიც არის ქალი.	ერთჯერადად დახმარება საარსებო მინიმუმის 3 თვის ოდენობის ნადღი ფულით და პრიორულების მინიჭება საპროექტო სამუშაოებში დასაქმებისას. შეძლებისდაგვარად (3თვე(@347.4ლარი/თვე= 1042 ლარი/ პზქმ ოჯახი)
დროებითი ზემოქმედება მშენებლობის პერიოდში		ყველა პზქმ პირი	შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც გამოიყლება და გადაეხდებათ პზქმ პირებს ზემოქმედების დადგენის შემთხვევაში ზემოთ მოყვანილი პუნქტების საფუძვლზე.

⁴ მოცემული პროექტის ფარგლებში მწვავედ ზემოქმედებულად ითვლება ის ოჯახები რომლებიც: (i) კარგავენ 10% ან 10%-ზე მეტს პროდუქტიული აქტივებისა/შემოსავლებისა რომლებიც წარმოდგენილია პროექტით ზემოქმედებული მიწით მათი სარგებლობაში არსებულ მთლიან მიწასთან მიმართებაში(ii) ფიზიკურად ადგილმონაცვლე პირები (iii) ოჯახები რომლებიც კარგავენ ბიზნესს

⁵ მრავალსახა მოწყვლადობის შემთხვევაში ოჯახი იღებს მოწყვლადობის მხოლოდ ერთ დახმარებას.

9. პროექტის ფარგლებში განხორციელდება განსახლების პოლიტიკა პზქმ პირთვის სრული აღდგენითი ღირებულებითა და სხვა დამატებითი ფულადი დახმარების სახით. პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელია საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტი. რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საგზაო დეპარტამენტს დახმარებას უწევს რიგი სხვა სახელმწიფო ორგანოები და კერძო სააგენტოები პროექტის დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე. მოქმედი კანონების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ახორციელებს კანონიერი მესაკუთრეების საკუთრების უფლების აღიარებას და მიწის საკუთრების უფლების რეგისტრაციას სოფლის თემებიდან, სანოტარო ბიუროებიდან, საკუთრების უფლებების აღიარების კომისიიდან და საკრებულოებიდან მიღებული ინფორმაციის შემოწმებითა და დადასტურებით. საჯარო რეესტრის სამსახური ასევე, ახდენს მფლობელებისგან შეძენილი მიწის საგზაო დეპარტამენტზე გადაცემის რეგისტრაციას. ადგილობრივი მთავრობა რაიონისა და საკრებულოს დონეებზე ჩართული არიან დაკანონებადი მიწის ნაკვეთების ლეგალიზებისა და შემდგომი მიწის შესყიდვისა და პზქმ პირების განსახლების პროცესში. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო პასუხს აგებს გარემოსდაცვით საკითხებზე. საპროექტო გზა გაივლის ორ ადმინისტრაციულ რაიონზე: ხარაგაულსა და ზესტაფონზე.

10. განსახლების გეგმის განხორციელების გრაფიკი დადგინდება მთლიანად პროექტის განხორციელების გეგმის მიხედვით. მიწის შესყიდვასა და განსახლებასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა უნდა დაიგეგმოს იმგვარად, რომ კომპენსაციის გადახდა მოხდეს ადგილმონაცვლეობამდე და სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. საზოგადოებრივი კონსულტაცია, მონიტორინგი და საჩივრების დაკმაყოფილების პროცესი განხორციელდება უწყვეტად მთელი პროექტის მანძილზე. საგზაო დეპარტამენტი ახორციელებს მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განხორციელების მონიტორინგს და ნახევარწლიურ ანგარიშებს წარუდგენს აგბ-ს. პროექტის განხორციელების წინასწარი გრაფიკი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

პროექტის განხორციელების გრაფიკი

მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის დონისძიებები	2017												2018				
	4	5	6	7	8	9	10	11	12	1	2	3	4				
ა. დეტალური პროექტი	★																
დეტალური პროექტის კონსულტანტის დანიშვნა																	
საზოგადოებრივი კონსულტაციები			★	★	★	★	★	★	★	★	★	★	★	★	★	★	
შეტყობინების გაგზავნა საბოლოო თარიღის შესახებ დეტალური			★														
პროექტის გეგმის გადატენვა																	
დეტალური აზომვეითი სამუშაოები და პუქმ პირების აღწერა			★	★													
მიწის შესყიდვისა და განსახლების საბოლოო გეგმა დეტალური პროექტის მიხედვით			★	★													
მიწის შესყიდვისა და განსახლების საბოლოო გეგმის წარდგენა აგბ-ს დასამტკიცებლად				★													
მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის გასაჯაროება					★												
მიწის შესყიდვისა და განსახლების რაიონული გუნდის შექმნა საგზაო დეპარტამენტის განსახლებისა და გარემოს დაცვის ბიუროს შემადგენლობაში და შესაბამისი პერსონალის დანიშვნა						★											
დაკანონებადი მიწის ნაკვეთების ლეგალიზაცია							★	★	★	★	★	★					
ბ. მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის განხორციელება																	
პუქმ პირების ხელშეკრულებების დადება							★										
პუქმ პირებისადმი კომპენსაციის გაცემა კანონიერი დახმარების გაწევა							★	★	★	★	★	★	★				
შეძენილი ქონების დაუფლება								★	★	★	★	★	★				
მიწის გადაცემა კონტრაქტორებზე სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი														★			
გ. მონიტორინგი შიდა მონიტორინგი საგზაო დეპარტამენტის მიერ								★	★	★	★	★	★	★	★	★	

დანართი 1. პრეტენზიებისა და საჩივრების წარდგენის ფორმა

პროექტის სახელწოდება:	
სახელი, გვარი	
საკონტაქტო ინფორმაცია	<p>ა) საფოსტო მისამართი:</p> <hr/> <hr/>
მიუთითეთ პომუნიკაციის თქვენთვის სასურველი საშუალება (ფოსტა, ტელეფონი, ელ. ფოსტა)	<p>ბ) ტელეფონი:</p> <hr/> <p>გ) ელ. ფოსტა:</p> <hr/>
რა ენაზე გსურთ პომუნიკაცია?	<p>დ) ქართულად</p> <p>ე) ინგლისურად</p> <p>ვ) რუსულად</p>
აღწერეთ პრეტენზია/საჩივრი:	რას ეხება საჩივრი? რას ეხება პრეტენზია?
მოლაპარაკების თარიღი:	მოლაპარაკების შედეგი:
ინციდენტის/პრეტენზიის თარიღი	
რა საფუძველი აქვს თქვენს პრეტენზიას?	
ხელმოწერა:	თარიღი:

საავტომობილო გზების დეპარტამენტის საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ყაზბეგის 12, 0160 თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 237- 05-08

ელფოსტა: info@georoad.ge

ელფოსტა: press@georoad.ge

საკონტაქტო პირები

1. ნინო მცურავიშვილი

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განსახლების სამსახურის უფროსის მოადგილე

ტელ: 595-026688

2. შოთა ბაციკაძე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის

განსახლების სამსახურის პროექტების მენეჯერი

ტელ: 577-613302

3. არჩილ ჯორბენაძე

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის

აგბ-ს პროექტების კოორდინატორი

ტელ: 591-403038